# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 320

„20" ოქტომბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. №18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.17.002.091) პირდაპირი გაკარგვის წესით გოჩა აბაზაშვილისთვის (პ/ნ 35001049438) იჯარით ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. №18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.17.002.091) პირდაპირი გაკარგვის წესით გოჩა აბაზაშვილისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 ოქტომბრის №20.1186.1454 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. №18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.17.002.091) გოჩა აბაზაშვილისთვის (პ/ნ 35001049438) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე